შპს აუდიტორული ფირმა
"აუდიტი-ბოლნისი"

საქართველო, ქ. ბოლნისი
ს.ს. ორბელიანის ქ. № 106

ლიცენზია ზოგად აუდიტში - ზ. № 151, 5-XI – 1999 წ.
მოწმობა საერთაშორისო აუდიტსა და სტანდარტებში - № 150, დეკემბერი: 1999 წ.
სერთიფიკატი ზოგად აუდიტში - ზ № 5/282 2010 წ.
საქართველოს კანონი 2013 წ. 29 ივნისი № 6598-რს - მობ. 899-98-22-49

# აუდიტორული დასკვნა10/10-7

ქ. ბოლნისი 14 აპრილი 2025 წ.

აუდიტორული დასკვნა მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ", საქართველოს კანონით (მიღებულია 2012 წლის 29 ივნისს № 6598-რს, მუხლი 16, პუნქტი 2, 3 და 4) უფლებამოსილი, ლიცენზირებული აუდიტორული ფირმა შპს "აუდიტი-ბოლნისი"-ს მიერ, მისი დირექტორის, სერტიფიცირებული აუდიტორის ზოგად აუდიტში, საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის წევრის (რეგ.№ფპ/ა-011) – ნუგზარი ალაგარდაშვილის ხელმძღვანელობით.

ჩვენი აუდიტი ჩატარდა საქართველოს მოქალაქე, შპს სამაუწყებლო კომპანია „ბოლნელი"-ს დირექტორთან ბ-ნ აკაკი უგრეხელიძესთან (დაბადებული 23.03.1981 წელს, ბოლნისში, მცხ. ქ. ბოლნისი, რუსთაველის ქ. № 7, პირადი № 10001005784) – გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიზანია კომპანიის მიერ 2024 წლის განმავლობაში, დაფინანსების წყაროების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშზე შემოსული თანხების შემოწმება-დადასტურება, შესაბამისი აუდიტორული დასკვნის გაცემით, რომელიც თანახმად საქართველოს კანონისა „მაუწყებლობის შესახებ" თავი IX პუნქტი 3 – წარედგინება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, როგორც დანართი, საზოგადოების მიერ წარსადგენ წლიურ ანგარიშზე. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია № 225398370, მისი დირექტორია – აკაკი უგრეხელიძე.

პასუხისმგებლობა მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობაზე აკისრია დამკვეთს – აკაკი უგრეხელიძეს.

შპს სამაუწყებლო კომპანია „ბოლნელი"-ს – შემდგომში „დამკვეთსა" და შპს „აუდიტი-ბოლნის"-ს, შემგომში „შემსრულებელს" შორის შეთანხმებულია, რომ „დამკვეთი" უქმნის „შემსრულებელს" პირობებს, რათა მას ჰქონდეს თავისუფალი წვდომა კომპანიაში არსებულ და დაცულ ნებისმიერ პირველად დოკუმენტაციაზე, ხელშეკრულებებზე, საბანკო ანგარიშებზე და სხვა სახის ინფორმაციაზე, გამომდინარე ხელშეკრულებით დადგენილ პირობებიდან, ხოლო „შემსრულებელი" ვალდებულია შეამოწმოს და დაადგინოს არსებულ პირველად დოკუმენტაციაზე დაყრდნობით საბანკო ანგარიშებთან შედარების შემდეგ – 2024 წლის განმავლობაში, კომპანიის ანგარიშზე ყველა სახის შემოსული თანხების შესაბამისობა და სისწორე, და აღნიშნულზე გასცეს შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.

ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტით დადგინდა, რომ შპს სამაუწყებლო კომპანია „ბოლნელი" 2024 წლის განმავლობაში ახორციელებდა და ამჟამადაც ახორციელებს სამაუწყებლო მომსახურებას სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების, სატენდერო-სარეკლამო მომსახურებების და აგრეთვე სხვა შეთანხმებების საფუძველზე, რაც წარმოადგენს მის დაფინანსების წყაროებს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.